

სს „საბროკერო კომპანია კავკასუს კაპიტალ ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
---------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	14
5. ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	15
6. არამატერიალური აქტივები	16
7. არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი	16
8. აქტივი გამოყენების უფლებით	16
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
10. საკუთარი კაპიტალი	17
11. საიჯარო ვალდებულება	18
12. კრედიტორული დავალიანება	18
13. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები	18
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
15. ფინანსური რისკის მართვა	19
16. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა	22
17. პირობითი ვალდებულებები	22
18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	23
19. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე	23
20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 5-ში, კომპანიამ შეაფასა ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში, რეალური ღირებულების ნაცვლად თვითღირებულების მეთოდით, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. შენიშვნა 5-ში მოყვანილია მიზეზები რის გამოც აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, რეალური ღირებულების რეპრეზენტატორად. აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებს“, რადგან ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისია რეალური ღირებულების შესაფასებლად და არ არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი. ჩვენთვის შეუძლებელი იყო რეალური ღირებულების შეფასების შედეგად მისაღები კორექტირების ფინანსური ეფექტის რაოდენობრივი განსაზღვრა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციებსა და წმინდა მოგება ან ზარალზე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი “ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს” (IESBA) “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის” (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 31 მარტი

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 31 მარტი

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	5	392,958	392,958
ძირითადი საშუალებები		3,166	4,081
არამატერიალური აქტივები	6	140,987	66,599
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი	7	25,268	56,627
აქტივი გამოყენების უფლებით	8	21,837	29,117
სულ გრძელვადიანი აქტივები		584,216	549,382
დებიტორული დავალიანება		847	4,152
მოკლევადიანი ინვესტიციები		10,018	9,258
მისაღები პროცენტები		7,351	7,385
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	11,934	7,219
სულ მიმდინარე აქტივები		30,150	28,014
სულ აქტივები		614,366	577,396
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		416,500	416,500
საემისიო კაპიტალი		35,880	35,880
გაუნაწილებელი მოგება		95,516	65,586
სულ საკუთარი კაპიტალი	10	547,896	517,966
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	11	16,642	20,819
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16,642	20,819
კრედიტორული დავალიანება	12	26,861	22,234
საიჯარო ვალდებულება	11	20,730	14,676
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		2,237	1,701
სულ მიმდინარე ვალდებულებები		49,828	38,611
სულ ვალდებულებები		66,470	59,430
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		614,366	577,396

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
საკომისიო შემოსავალი	13	28,685	11,449
საკომისიო ხარჯი		(12)	(73)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		28,673	11,376
სხვა საშუაშეგრო შემოსავალი	9	110,493	113,637
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(2,584)
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(107,101)	(111,573)
წმინდა შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		32,317	10,638
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა		(473)	(428)
საპროცენტო ხარჯი	11	(2,115)	(342)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		269	103
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(68)	(4,000)
მოგება დაბეგვრამდე		29,930	5,971
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		29,930	5,971
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი		29,930	5,971
მოგება ერთ აქციაზე	10	0.07	0.01

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 31 მარტს.

გიორგი ლოლაძე

ლიანა პაპიაშვილი

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-23 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
საკომისიო შემოსავალი	13	28,685	11,449
საკომისიო ხარჯი		(12)	(73)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		28,673	11,376
სხვა საშუაშელო შემოსავალი	9	110,493	113,637
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(2,584)
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(107,101)	(111,573)
წმინდა შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		32,317	10,638
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა		(473)	(428)
საპროცენტო ხარჯი	11	(2,115)	(342)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		269	103
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(68)	(4,000)
მოგება დაბეგვრამდე		29,930	5,971
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		29,930	5,971
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი		29,930	5,971
მოგება ერთ აქციაზე	10	0.07	0.01

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 31 მარტს.

გიორგი ლოლაძე

გენერალური დირექტორი

ლიანა პაპიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-23 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	416,500	35,880	59,615	511,995
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	5,971	5,971
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	416,500	35,880	65,586	517,966
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	29,930	29,930
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	416,500	35,880	95,516	547,896

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
წლის მოგება დაბეგვრამდე:		29,930	5,971
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		20,157	22,310
სხვა საშუაშალო შემოსავალი	9	(110,493)	(113,637)
საპროცენტო ხარჯი	11	2,115	342
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა ზარალი		473	428
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული (შემოსავალი)/ხარჯი, წმინდა		(252)	218
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(58,070)	(84,368)
<i>ცვლილებები:</i>			
საგადასახადო ვალდებულებები		536	939
დებიტორულ დავალიანებები		3,305	1,508
კრედიტორულ დავალიანებები		4,627	10,853
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები საპროცენტო ხარჯის, მოგების გადასახადის გადახდამდე და საპროცენტო შემოსავლის მიღებამდე		(49,602)	(71,068)
გადახდილი პროცენტი		-	(342)
მიღებული პროცენტი		110,493	113,966
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		60,891	42,556
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხის მიღება		-	3,000
გრძელვადიანი აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები		-	(54,600)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები		(54,641)	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები		(350)	(701)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(54,991)	(52,301)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
იჯარის ძირის დაფარვა	11	(1,365)	(1,810)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,365)	(1,810)
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		4,535	(11,555)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		7,219	19,208
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		180	(434)
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	11,934	7,219

შენიშვნები 9-23 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნებულია 2006 წლის 13 იანვარს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ჭავჭავაძის გამზირი N74ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის განცხადებული კაპიტალი არის 500,000 ლარი. კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (91.48%) და ნიკოლოზ ლოლაძე (8.52%).

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (საბროკერო საქმიანობის ლიცენზია #20047, გაცემული 2006 წლის 2 მაისს) და ახორციელებს საბროკერო მომსახურებას.

2. მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753
1 GBP/GEL	3.5349	3.4228

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საშუალო შეწონილი კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 USD/GEL	2.7208	2.6287
1 EUR/GEL	2.9440	2.8436
1 GBP/GEL	3.4772	3.2706

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც FVPL ასახვით შეფასებული:

– აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანაც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და

– მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავალო ინვესტიციები ფასდება, როგორც FVOCI ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც FVPL ასახვით შეფასებული:

– აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანაც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

– მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

საწყისი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებში ინვესტიციები, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში. ეს არჩევნები ტარდება ინვესტიციის მიხედვით. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება FVOCI ასახვით. კომპანია არ ფლობს FVPL ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები - შემდგომი შეფასება და შემოსულობები ან ზარალები.

წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით. მიღებული დივიდენდები აღირიცხება როგორც შემოსავალი მოგება ზარალში, მანამ სანამ დივიდენდი აშკარად წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილის აღდგენას. სხვა წმინდა მოგება და ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და არასოდეს არ კლასიფიცირდება მოგება ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შემდეგ მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს.

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის მომსახურების გაწევა.

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომელიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარე უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარე მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის/შექმნის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის/შექმნის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება და იგი აღიარდება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები.

საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების

გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების ჩამოწრა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია გრძელვადიან აქტივებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

სატრანსპორტო საშუალება

ოფისის აღჭურვილობა

არამატერიალური აქტივები

ცვეთის ნორმა

20%

20%

40%

15%

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

დაბეგრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშების გამოცემამდე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს ასეთის არსებობის და არსებითობის შემთხვევაში, მათი ძალაში შესვლისთანავე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს 21-ში

2023 წლის აგვისტოში, ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 21-ში, „სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტები“, რათა განემარტა, თუ როგორ უნდა შეაფასოს ორგანიზაციამ, არის თუ არა ვალუტა გაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ გაცვლითი კურსი, როდესაც არ არსებობს ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა.

ცვლილებები ასევე მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს გაიგონ, თუ როგორ მოქმედებს ან შეიძლება იმოქმედოს, სხვა ვალუტაში კონვერტირების შეუძლებლობამ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება, მაგრამ ეს უნდა იყოს გამჟღავნებული. საწარმოს არ შეუძლია გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია.

კომპანია არ მოელის, რომ ცვლილებები მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 18 ინფორმაციის წარდგენა და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში

2024 წლის აპრილში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა ფასს 18, რომელიც ცვლის ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18 აწესებს ახალ მოთხოვნებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენისთვის, განსაზღვრული საბოლოო და შუალედური ჯამების ჩათვლით.

გარდა ამისა, კომპანიებს მოეთხოვებათ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი დააკლასიფიცირონ ხუთიდან ერთ-ერთ კატეგორიად: საოპერაციო, საინვესტიციო, ფინანსური, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, რომელთაგან პირველი სამი ახალია.

იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ახალი ეფექტურობის მაჩვენებლების, შემოსავლებისა და ხარჯების შუალედური ჯამების გამჟღავნებას და მოიცავს ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგაციისა და დეზაგრეგაციისთვის, პირველადი ფინანსური ანგარიშგების (PFS) და შენიშვნების იდენტიფიცირებული "როლების" საფუძველზე.

გარდა ამისა, მცირე ცვლილებები შევიდა ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება“, რომელიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას "მოგება ან ზარალიდან" "საოპერაციო მოგებამდე ან ზარალამდე" და დივიდენდებიდან და პროცენტებიდან ფულადი ნაკადების კლასიფიკაციის ირგვლივ არჩევანის შესაძლებლობის გაუქმებას. გარდა ამისა, არსებობს არაპირდაპირი ცვლილებები რამდენიმე სხვა სტანდარტთან დაკავშირებით.

ფასს 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები მოქმედებს 2027 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, მაგრამ უფრო ადრე გამოყენება დასაშვებია და უნდა იყოს გამჟღავნებული. ფასს 18 გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად.

ამჟამად კომპანია მუშაობს პირველად ფინანსურ ანგარიშგებაზე და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებზე არსებული ყველა ცვლილების გავლენის იდენტიფიცირებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე და ასევე პირობითი ვალდებულებების შესახებ განმარტებებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მსჯელობები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების შეფასების მეთოდი

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები მოიცავს კომპანიის მიერ შეძენილ სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (მფლობელობის წილი 10%) და სს „სი ეს არის“ (მფლობელობის წილი 17,9%) აქციებს. ფასს-9 მოთხოვნების შესაბამისად აღნიშნული ინვესტიცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს რეალური ღირებულების მართებული შეფასება.

ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის,
- ან არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

მენეჯმენტმა დაასკვნა რომ, ვინაიდან კომპანიის ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში არ არის კოტირებული ბაზარზე და ხელმძღვანელობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ საიმედოდ დაადგინოს მათი აქციების რეალური ღირებულება, აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, როგორც რეალური ღირებულების რეპრეზენტატორი.

5. ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციები	299,998	299,998
სს „სი ეს არ“-ის აქციები	92,812	92,812
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს აქციები	148	148
სულ ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	392,958	392,958

აღნიშნული ინვესტიციები წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტებს. ფასს-9 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ყველა ინვესტიცია და ამგვარ ინვესტიციებზე დადებული ხელშეკრულებები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს რეალური ღირებულების მართებული შეფასება. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის,
- ან არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

ვინაიდან, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (მფლობელობის წილი 10%) და სს „სი ეს არის“ (პროცენტული წილი განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობიდან 25,6%, მფლობელობის წილი განცხადებულ კაპიტალში 17,9%) აქციები არ არის კოტირებული ბაზარზე და ხელმძღვანელობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ საიმედოდ დაადგინოს მათი აქციების რეალური ღირებულება, აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, როგორც რეალური ღირებულების რეპრეზენტატორი.

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლიცენზია	კომპიუტერული პროგრამა და ვებ საიტი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2023 და 31 დეკემბერი 2023	700	87,882	267	88,849
შეძენა	-	86,000	-	86,000
31 დეკემბერი 2024	700	173,882	267	174,849
აკუმულირებული ამორტიზაცია				
1 იანვარი 2023	656	8,157	251	9,064
წლის ამორტიზაცია	4	13,182	-	13,186
31 დეკემბერი 2023	660	21,339	251	22,250
წლის ამორტიზაცია	6	11,606	-	11,612
31 დეკემბერი 2024	666	32,945	251	33,862
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	40	66,543	16	66,599
31 დეკემბერი 2024	34	140,937	16	140,987

7. არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 25,268 ლარს (2023: 56,627 ლარს), რომელიც ძირითადად შედგება კლიენტების და გარიგებების ინტეგრირებული აღრიცხვის კომპიუტერული სისტემისა და ვებ-საიტის შექმნასთან დაკავშირებული ავანსებისაგან.

8. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	სულ
1 იანვარი 2023	7,166	7,166
იჯარის ვადის ხელახალი შეფასება	29,117	29,117
ცვეთის ხარჯი	(7,166)	(7,166)
31 დეკემბერი 2023	29,117	29,117
ცვეთის ხარჯი	(7,280)	(7,280)
31 დეკემბერი 2024	21,837	21,837

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი. საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფიქსირებული გადახდები, წლის განმავლობაში 3,240 დოლარის ექვივალენტით ლარში. ხელშეკრულება მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საიჯარო პერიოდი, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, 3 წელია.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	11,868	7,154
ფული სალაროში	66	65
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	11,934	7,219

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო და ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მოზარებული 823,807 ლარისა და 1,071,872 ლარის ფულადი სახსრებიდან, კომპანიამ დეპოზიტებზე განათავსა 640,000 ლარი 850,000 ლარი, შესაბამისად. კომპანიას აქვს უფლება საკუთარი სახსრებისგან განცალკევებულად შეინახოს მოცემული თანხები ნომინალური მფლობელობის საბანკო ანგარიშებზე. მოცემულ მოზარებულ აქტივებზე კომპანიას არ აქვს კონტროლი და არ არის აღრიცხული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში. თუმცა, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ამ ანგარიშებზე განთავსებულ თანხებთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ხარჯი/სარგებელი წარმოადგენს კომპანიის ხარჯს/სარგებელს. 2024 და 2023 წლებში, დეპოზიტებიდან მიღებული საშუალო შემოსავალი შეადგენდა 110,493 ლარსა და 113,637 ლარს, შესაბამისად.

10. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
განცხადებული სააქციო კაპიტალი	500,000	500,000
შეუვსებელი სააქციო კაპიტალი	(83,500)	(83,500)
სულ სააქციო კაპიტალი	416,500	416,500
საემისიო შემოსავალი (საემისიო კაპიტალი)	35,880	35,880
გაუნაწილებელი მოგება	95,516	65,586
სულ კაპიტალი	547,896	517,966

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2024 და 2023 წლების განმავლობაში.

კაპიტალის რისკის მართვასთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 16.

შემოსავალი ერთ აქციაზე გამოანგარიშებულია შემდეგნაირად:

	2024	2023
მთლიანი წლის სრული შემოსავალი	29,930	5,971
ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	416,500	416,500
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	0.07	0.01

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

11. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	20,730	14,676
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	16,642	20,819
სულ საიჯარო ვალდებულება	37,372	35,495

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საწყისი ბალანსი	35,495	8,246
საპროცენტო ხარჯი	2,115	342
გადახდები წლის განმავლობაში	(1,365)	(2,152)
იჯარის ვადის გახანგრძლივება	-	29,117
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ეფექტი	1,127	(58)
ნაშთი წლის ბოლოს	37,372	35,495

	1 წლის განმავლობაში	1-5 წელი
31 დეკემბერი 2024		
საიჯარო გადახდები	22,326	18,011
ფინანსური ხარჯი	(1,596)	(1,369)
დღევანდელი ღირებულება	20,730	16,642

	1 წლის განმავლობაში	1-5 წელი
31 დეკემბერი 2023		
საიჯარო გადახდები	16,791	23,784
ფინანსური ხარჯი	(2,115)	(2,965)
დღევანდელი ღირებულება	14,676	20,819

12. კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აუდიტორული მომსახურების ვალდებულება	12,354	14,578
სახელფასო ვალდებულება	11,500	7,500
სხვა ვალდებულებები	3,007	156
სულ კრედიტორული დავალიანება	26,861	22,234

13. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

კომპანია ახორციელებს სავაჭრო საქმიანობას როგორც სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“, ასევე საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე კოტირებული ფასიანი ქაღალდებით. კომპანია საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ტრანზაქციებს ახორციელებს საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმის საშუალებით. 2024 წელს სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ განხორციელებული გარიგებებიდან და არასაბირჟო გარიგებებიდან მიღებული ჯამური საბროკერო საკომისიო შემოსავალი შეადგენს 18,523 ლარს (2023: 5,011 ლარი). ამავდროულად, საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმის საშუალებით, საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განხორციელებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავალი არის 10,162 ლარი (2023: 6,438 ლარი). საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმაზე ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა 2024 წელს შეადგინა 12 ლარი (2023: 73 ლარი).

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	57,780	57,045
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	12,354	14,578
ცვეთა და ამორტიზაცია	20,157	22,310
საწვავის ხარჯი	2,866	2,869
კომუნალური გადასახადები	2,602	2,824
სხვა საერთო ხარჯები	11,342	11,947
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	107,101	111,573

15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები ხორციელდება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებულ იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	11,868	7,154
მოკლევადიანი ინვესტიციები		10,018	9,258
დებიტორული დავალიანება		847	4,152
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული აქტივები		22,733	20,564

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება შემდეგ საბაზრო რისკებს:

- ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში (სავალუტო რისკი)
- ბ) საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში (საპროცენტო რისკი)
- გ) ფასების ცვლილების მიმართებაში (სხვა ფასების ცვლილების რისკი)

მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი -კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. თუ აქტივები და ვალდებულებები საერთო ვალუტაში არ ემთხვევა ერთმანეთს, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია და ექვემდებარება კურსის არამომგებიან ცვლილების რისკს.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საკმიანოებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში). კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებსაც განიხილავს მთავარი ხელმძღვანელობა და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით.

გარდა ამისა ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძნობელობა 30%-იან ზრდაზე და შემცირებაზე ლარში თითოეულ ვალუტასთან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს

მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ 2024 და 2023 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2024	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	284	-	7,259	7,543
დებიტორული დავალიანება	281	383	-	664
მოკლევადიანი ინვესტიციები	10,018	-	-	10,018
სულ ფინანსური აქტივები	10,583	383	7,259	18,225
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	(16,642)	-	-	(16,642)
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	(20,730)	-	-	(20,730)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(37,372)	-	-	(37,372)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(26,789)	383	7,259	(19,147)
გავლენა მოგება-ზარალზე				
30%-იანი ზრდა	(8,037)	115	2,178	(5,744)
30%-იანი შემცირება	8,037	(115)	(2,178)	5,744

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2023	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	215	17	1,745	1,977
დებიტორული დავალიანება	1,077	-	3,075	4,152
მოკლევადიანი ინვესტიციები	9,258	-	-	9,258
სულ ფინანსური აქტივები	10,550	17	4,820	15,387
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	(20,819)	-	-	(20,819)
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	(14,676)	-	-	(14,676)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(35,495)	-	-	(35,495)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(24,945)	17	4,820	(20,108)
გავლენა მოგება-ზარალზე				
30%-იანი ზრდა	(7,484)	5	1,446	(6,032)
30%-იანი შემცირება	7,484	(5)	(1,446)	6,032

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის არ აქვს სესხები და ნასესხები თანხები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს თავისი ვალდებულებების შესრულებას. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალ მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

31 დეკემბერი, 2024	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,934	-	11,934
მისაღები პროცენტები	7,352	-	7,352
მოკლევადიანი ინვესტიციები	10,018	-	10,018
დებიტორული დავალიანება	847	-	847
სულ ფინანსური აქტივები	30,151	-	30,151
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	(26,861)	-	(26,861)
საიჯარო ვალდებულება	(20,730)	(16,642)	(37,372)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(47,591)	(16,642)	(64,233)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(17,440)	(16,642)	(34,082)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2023	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,219	-	7,219
მისაღები პროცენტები	7,385	-	7,385
მოკლევადიანი ინვესტიციები	9,258	-	9,258
დებიტორული დავალიანება	4,152	-	4,152
სულ ფინანსური აქტივები	28,014	-	28,014
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	(22,234)	-	(22,234)
საიჯარო ვალდებულება	(14,676)	(20,819)	(35,495)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(36,910)	(20,819)	(57,729)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(8,896)	(20,819)	(29,715)

16. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს სააქციო კაპიტალს, საემისიო კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებას (შენიშვნა 10).

კაპიტალის მართვას კომპანიის მფლობელები ახორციელებენ კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას, ახალი აქციების გამოცემას.

კომპანია ახორციელებს საბროკერო საქმიანობას და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანების მე-8 მუხლის, 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს.

17. პირობითი ვალდებულებები

ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის ადეკვატურია.

თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (გ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (გ) ან (დ)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შედგაების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (91.48%) და ნიკოლოზ ლოლაძე (8.52%). კომპანია ფლობს სს „სი ეს არ“-ში განთავსებული აქციების 25.6%-ს, (პროცენტული წილი განცხადებულ კაპიტალში 17.9%), ხოლო სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციების 10% -ს. დაკავშირებულ მხარესთან არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი	24,250	24,250

19. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კლიენტების რაოდენობა შეადგენს 216-ს (2023: 209). 2024 წლის განმავლობაში კომპანიის კლიენტების ტრანზაქციების ჯამურმა გარიგებების მოცულობამ შეადგინა:

- თანხობრივად - 9,319, 720 ლარი (2023: 4,735,053 ლარი);
- ფასიანი ქაღალდების მიხედვით - 2,886,515 ცალი (2023: 3,591,602 ცალი).

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშების თარიღის შემდგომ და წინამდებარე ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან ტრანზაქცია, რომელიც მოითხოვდა ფინანსურ ანგარიშებაში კორექტირებას ან ინფორმაციის გამჟღავნებას.